პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ოქტომბერი, შაბათი, 1987 წ.
№ 190 (9601) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასპირანტურა აღდგა

**ახლახან** გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ასპირანტურის დღის და დაუსწრებელ განყოფილებებზე. ამასთან დაკავშირებით განმარტება ვთხოვეთ ინსტიტუტის რექტორს **ომარ გოგიაშვილს.**

**● როგორც ცნობილია ფიზკულტურის ინსტიტუტში ექვსი წლის განმავლობაში არ ყოფილა ასპირანტურაში მიღება. რამ გამოიწვია ასეთი დიდი შესვენება?**



—წლების მანძილზე,—თქვა რექტორმა — სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში დისერტაციების დაცვის პროცენტი ძალიან დაბალი იყო. საკავშირო ინსტანციებმა შეისწავლეს ეს საკითხი და 1981 წელს ასპირანტურა, როგორც არაეფექტური, დაიხურა. მაგრამ, როგორც იცით, ჩვენი ინსტიტუტი ერთადერთი სასწავლებელია რესპუბლიკაში, სადაც შეიძლება ფიზკულტურასა და სპორტში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადება. თუ არა აქ, სხვაგან სად შეიძლება ჩატარდეს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა, ფიზკულტურასა და სპორტთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერული კვლევა. ფიზკულტურა და სპორტი დღესდღეობით ხომ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციფიკური დარგია. ამიტომ ეს სფერო უთუოდ საჭიროებს მაღალკვალიფიცირებულ სპეციალისტებს.

ასე რომ, ინსტიტუტში ასპირანტურის აღდგენის საკითხი კარგა ხანია დღის წესრიგშია. ჯერ რესპუბლიკის, შემდეგ საკავშირო ორგანოებს მივმართეთ. ეს მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესი აღმოჩნდა, რომელიც კეთილად დაგვირგვინდა.

სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა დაგეგმა, 1987 წელს ასპირანტურაში ექვსი კურსდამთავრებული მიგველო, ხოლო შემდეგ წლებში ოთხ-ოთხი. და აი, წელს პირველი მიღება გვექნება.

**● ასპირანტურაში სწავლის გაგრძელების მსურველთა შორის ვის მიანიჭებთ უპირატესობას?**

—მას შემდეგ, რაც ასპირანტურაში მიღების უფლება მოვიპოვეთ, ორი წლის მანძილზე სერიოზული წ-

იხ. მე-2 გვ.

## წინ საბჭოთა ნაკრებია

**სეულში,** მსოფლიო თასის გათამაშებაზე ნინო სალუქვაძის კვალდაკვალ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჩეხოსლოვაკიელმა მსროლელმა პეტრ კურკამ. მან მცირეკალიბრიან სტანდარტში (3X40) ძირითად შეჯიბრებაზე 1183 ქულა მოაგროვა, შემდეგ კი ფინალში მას 100,4 ქულა დაუმატა. საბჭოთა სპორტსმენმა ვიქტორ ვლასოვმა მეორე ადგილი დაიკავა — 1273,5 (1174+99,5).

წოლელა სროლაში ოქროს მედალი მოიპოვა ვლასოვის თანაგუნდელმა გენადი ავრამენკომ — 690 (594+96).

საბჭოთა კავშირის ნაკრები მოპოვებული მედლების მიხედვით საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზეა. მის აქტივში ოქროს სამი, ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალია. ორი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი აქვთ ბულგარელებს.

## UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

# ოპტიმიზმის საფუძველი

**30 სექტემბერს გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი წრის საპასუხო მატჩები.**

**უეფა-ს თასი**

**„დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) 3:0 (1:0).**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 30 სექტემბერი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, არზიანი, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, აჯოევი (ქეცბაია, 70), გურული, შენგელია (კორღალიძე, 46).**

**„ლოკომოტივი“: ნიკოლოვი, ველკოვი, უელევი, დუდოვი, დოჩევი, ვასევი, ბონჩევი, მეტკოვი, პეტკოვი, ტოდოროვი (ზლატინოვი, 74), სტოევი.**

**მსაჯი რ. მატუშეკი (ჩეხოსლოვაკია).**

**გააფრთხილეს დუდოვი.**

**უეფა-ს** თასის გათამაშების პირველ დღეს ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე საბჭოთა 6 გუნდიდან ხუთმა გამარჯვება მოიპოვა, დამარცხდა მხოლოდ თბილისის „დინამო“. ეს ფრიად საწყენი ამბავი გახლდათ, ამგვარი სამწუხარო გამონაკლისი საერთო წარმატების ფონზე დიდი სინანულის გრძნობას იწვევდა. თბილისელთა ამ მარცხს, რა თქმა უნდა, უშუალოდ ვუკავშირებდით ჩვენი გუნდის წარუმატებლობებს წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში. რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ იუგოსლაველი მსაჯის ვ. ვუიოვიჩის არაობიექტურ მსაჯობაზე პირველ მატჩში, მოსახდენი მაინც მოხდა. ამიტომაც საპასუხო თამაშში შინ თბილისის „დინამოს“ სრული რეაბილიტაციისთვის უნდა ებრძოლა. რეაბილიტაციისთვის ევროპული მასშტაბითაც, და, რასაკვირველია, საკუთარ გულშემატკივართა წინაშეც.

საოცარი ხალხია ეს გულშემატკივრები! მთელი წელია საყვედურისა და წყენის მეტს არაფერს გამოვთქვამთ ჩვენი პირველი გუნდის მიმართ, მაგრამ გასაჭირის საპასუხისმგებლო მომენტი რომ დადგა, „მთელი საქართველო“ ტელევიზორებს მიუსხდა, ჩვენი მთავარი სტადიონი თითქმის სავსე იყო მაყურებლებით და თუკი რაიმე საშუალებით შეიძლებოდა დინამოელთა მხარდაჭერა და გამხნევება, ეს ჩვენს გუნდს არ აკლდა. მატჩის დამთავრების შემდეგ დინამოელებმა მადლობა გადაუხადეს თავიანთ ქომაგებს და, ეტყობა, გარკვეულ, ექსტრემალურ ვითარებაში ფეხბურთელს გულშემატკივრის გამხნევება უფრო შველის, ვიდრე, გაუთავებელი საყვედურები...



„დინამო“ კი ამჯერად ნამდვილად საბრძოლოდ იყო განწყობილი. ნუ დავმალავთ, რომ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ ჩვენი ფეხბურთელები ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო გააქტიურდნენ, განუზომლად მოიმატა საერთო მონდომებამ, ენერგიულმა მანევრებმა, თუმცა, თამაშის ოსტატობას და საშემსრულებლო ხელოვნებას ასე ჩქარა ვერ აიმაღლებ. ვეტერანებზე ის შეიძლება ითქვას, რომ ისინი გაცილებით უფრო მობილიზებულნი არიან, ძველ ფორმას იბრუნებენ და შეცდომებსაც ნაკლებად უშვებენ.

ის სარევანშო ანგარიში, რომლის წყალობითაც თბილისის „დინამომ“ სძლია სოფიის „ლოკომოტივს“ და გათამაშების შემდგომ წრეში გასვლის საშუალება შეგვიქმნა, დი-

იხ. მე-3 გვ.

### „ვიქტორია“ — ჩვენი მეტოქე

**ციურიხი. 2 ოქტომბერი.** აქ შედგა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების მეორე წრის წილისყრა, საბჭოთა გუნდებს ამ ეტაპზე მეტოქეებად ძლიერი, ცნობილი კლუბები შეხვდათ.

უეფა-ს თასზე თბილისის „დინამო“ ეთამაშება რუმინეთის დედაქალაქის კლუბს „ვიქტორიას“. მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქეა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ ბრემენის „ვერდერი“, ხოლო მოსკოვის „დინამო“ შეხვდება ესპანეთის „ბარსელონას“.

თასების მფლობელთა თასზე მინსკის „დინამოს“ მეტოქეა ესპანეთის ქალაქ სან-სებასტიანის „რეალი“.

წილისყრის თანახმად ოთხივე ჩვენი გუნდი პირველ მატჩებს 21 ოქტომბერს ჩაატარებს სტუმრად.

საქართველოს ღია ჩემპიონატი ცხენოსნობაში

## სამი წამით აჯობა

**ბაზრა, 2 ოქტომბერი. (ტელეფონით „ლელოს“ სპეც. კორესპონდენტი).** ბზიფის ახალგახსნილ იპოდრომზე ამ დღეებში ნამდვილი საცხენოსნო დღესასწაულია. უამრავი მაყურებელი (მათ შორის დამსვენებლები) ესწრება საქართველოს ღია ჩემპიონატს, რომელშიც, როგორც ადრე გაუწყეთ მოსკოვის, სომხეთის და ლიტვის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ჩემპიონატში წარმატებით გამოდიან საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საცხენოსნო კლუბების მხედრები. „გახსნის პრიზზე“ დაბრკოლებათა გადალახვაში სამივე საპრიზო ადგილი მათ დარჩათ. ზუგდიდელმა ოთარ ჯაფარიძემ და გუდაუთელმა ხარლამ სიმონიამ ფინიშის ხაზი უჯარიმოდ გადაკვეთეს. მარშრუტი დამატებით ხტომებშიც ორივე მხედარმა შეუცდომლად განვლო, მაგრამ აქ 3 წმ-ით უკეთესი დრო აჩვენა ჯაფარიძემ და პირველობაც მას დარჩა. მესამე ადგილზეა ფოთელი რუსლან კვარაცხელია.

სამჭიდში, ცხენოსნობის ამ ურთულეს სახეობაში სამანეჟო სვლის შემდეგ, გაიმართა ასპარეზობა კროსში. აქ შეჯიბრებას რამდენიმე მხედარი გამოეთიშა, იყო ტრავმები. ორი სახეობის შემდეგ სამჭიდში



ლიდერობს ოჩამჩირელი ოთარ ნარმანია, მეორე ადგილზეა გენადი სალტიკოვი (გუდაუთა), მესამეზე —ოთარ გვაჯავა (გალი). სამივე მხედარი პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების წარმომადგენელია.

**ბაქარ გაჩეჩილაძე.**

**მეორე საერთაშორისო შეხვედრა ბეისბოლში სსრკავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის გაიმართა რუსთავის სტადიონზე. ამჯერად გაიმარჯვეს სტუმრებმა — 25:3. გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა ამ დღეს დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი.**






### მიხეილ კეკელიძის სახელობისა

**საქართველოს სსრ** მინისტრთა საბჭომ განიხილა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის შუამდგომლობა და ქ. თბილისის № 58 კალათბურთის სპორტული პროფილის სპეციალიზებულ ექსპერიმენტულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის მიხეილ ერმილეს ძე კეკელიძის სახელი.

### ინფორმაცია

**დევისის** თასის გათამაშების ევროპული ზონის ფინალში, რომელიც დონეცკის კორტებზე მიმდინარეობს სსრ კავშირისა და შვეიცარიის გუნდებს შორის, დაწინაურდნენ სტუმრები— 1:0.

ვეტერანი სპორტის სამსახურში

# გაუნელებელი მგზნებარებით

ბინიდან გამოსული მხნედ, მსუბუქი ნაბიჯით, აივლის ფურცელაძის ქუჩას და დაფიქრებული გაუყვება რუსთაველის პროსპექტს. სასტუმრო „თბილისს" რომ გაუსწორდება, თვალი ანაზდად ამ შენობის ბანისკენ გაექცევა და გადაიშლება მოგონებათა ფურცლები. ახსენდება ძველი „სოიუზის" (მაშინ ამ შენობაში რესპუბლიკის პროფსაბჭო იმყოფებოდა) ბოლო სართული, ღია სარბიელით, სადაც ოცდაათიანი წლების დასაწყისში ძალოსნობის, კრივისა და ჭიდაობის სექციის წევრები ვარჯიშობდნენ. მთელი ქალაქის წამყვანი ძალები აქ იყრიდა თავს. აქ ვარჯიშობდნენ რინგის ოსტატები: დავით ჭიჭინაძე, ლევან ლუდუშაური, ზურაბ კანდელაკი, არმენ ავეტისოვი, გიორგი ვართანოვი და სხვები, რომელთა გამოსვლებმა დიდად შეუწყო ხელი სპორტის ამ სახეობის პოპულარობას ჩვენში. იმავე პერიოდში ქალაქის ეკრანებზე ნაჩვენებმა ექსპერიმენტმა საზღვარგარეთულმა ფილმმა „ტყავის ხელთათმანებმა" კი პირდაპირ მოსვენება დაუკარგა ახალგაზრდებს, განსაკუთრებით მერვეკლასელებს; ბორის კვინიხიძეს, ნოდარ ჩხეიძეს, თენგიზ კობახიძეს, ბორის მელაძეს, ბორის კალაძეს, ვლადიმერ ცომაიას, კოტე ბოკუჩავას, და, რაღა თქმა უნდა, შალვა გორგასლიძეს, რომელსაც მეგობრებმა, იმის გამო, რომ იგი ნიადაგ საბაბს ეძებდა თანაკლასელს, ან თუნდაც უფროსკლასელს დასჭიდებოდა, ან წაჩხუბებოდა, „ყვინჩილა" შეარქვეს.

ბიჭებიც სწორედ „ყვინჩილამ" შეაგულიანა, კრივს დაუფლებოდნენ. შორს წასვლა არ დასჭირვებიათ, კინოთეატრ „მინიონიდან" (შემდეგ ამ კინოთეატრს „ლუქსემბურგი" და მოგვიანებით კი „თბილისი" დაარქვეს. ახლა იქ ბარია). გამოსულებმა „სოიუზის" ბოლო სართულს მიაშურეს. იქ, დარბაზში მათივე სკოლელი თეიმურაზ ფურცელაძე დახვდათ. თურმე ის ხელმძღვანელობდა კრივის სექციას. თეიმურაზმა „ნაცნობობით" უმცროსი ამხანაგები უყოყმანოდ ჩარიცხა სექციაში. ბიჭებს ნიჭი აღმოაჩნდათ. კვინიხიძე, მელაძე, კალაძე — ეს სამეული საბჭოთა კავშირის პრიზიორიც კი იყო სხვადასხვა დროს. მაგრამ მათ შორის თავიდანვე გამოირჩეოდა „ყვინჩილა", რომელიც სხვებზე უფრო სწრაფად ითვისებდა რთულ ილეთებს და სწრაფადაც დახელოვნდა. კრივი შალვას ცხოვრების გზად იქცა. რაც შეეხება მის დებიუტს, იგი ბრწყინვალე გამოდგა — გაიმარჯვა ნოკაუტით, საბოლოოდ კი ცხრავე მეტოქე დაჯაბნა და ქალაქის ჩემპიონი გახდა. ასე დაიწყო გზა, რომელიც შალვა გორგასლიძემ დიდ სპორტში განვლო. თბილისის ჩემპიონი საქართველოს ჩემპიონი გახდა. გორგასლიძეს არც საზოგადოება „სპარტაკის" საკავშირო ასპარეზობაზე შეურცხვენია თავი. პირველსავე შეხვედრაში საკმაოდ ცნობილ მოკრივესთან ა. აფონინთან მოუწია ბრძოლა, გამოცდა ახალბედამ შესანიშნავად ჩააბარა, შემდეგ სხვა მეტოქეებსაც სძლია და საზოგადოების მეორე პრიზი დაისაკუთრა, მომდევნო, 1937 წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე მიიღო ნათლობა. აქ მან დაამარცხა იმ დროისთვის საკმაოდ ძლიერი და ცნობილი ოსტატები მოსკოველი ავდეევი, ლენინგრადის ჩემპიონი ზელენსკი, შკოლნიკოვი, მერე ბაქოელ კაიუროვს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ გააგრძელა შეჯიბრება და დაუმარცხებლად დაიკავა მე-ამე ადგილი. რაც ახალგაზრდა მოკრივისთვის დიდი წარმატება იყო. 1938 წლის საკავშირო პირველობაზე გორგასლიძემ ფარ-ხმალი დააყრევინა ტყავის ხელთათმანის ძლიერ ოსტატებს ბესონოვს, ქსენოფონტოვს, აივაზოვს, ოსიპოვს და კვლავ მესამე ადგილი დაისაკუთრა. მომდევნო წლებში მეორე და მესამე საპრიზო ადგილები დაიკავა. და აი, დადგა ღირსშესანიშნავი დღეც — შალვა გორგასლიძემ 1944 წლის საკავშირო ჩემპიონატის ფინალში მსუბუქ წონაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მოხდა ისე, რომ ფინალამდე მან სძლია თანაგუნდელებს და მეგობრებს ბ. კვინიხიძეს, ბ. მელაძეს და გადამწყვეტ ბრძოლაში ცნობილ მოსკოველ მოკრივეს ვ. ქსენოფონტოვს უნდა შეხვედროდა. შალვას ძვირად დაუჯდა ფინალისაკენ გზის გაკაფვა — ერთ-ერთ ბრძოლაში წარბი დაუზიანდა და ძლივს დაითანხმა ექიმი, რომ ქსენოფონტოვთან საბრძოლველად დაეშვა.



ს უ რ ა თ ზ ე: შ. გორგასლიძისა (მარჯვნივ) და ფინელ ე. ტამილინენის ბრძოლის მომენტი.

ქსენოფონტოვი მეტოქეს თავდაპირველად მკერდის არეში უტევდა, შემდეგ თავის არეში და მძიმე დარტყმებით ამთავრებდა იერიშს. ეს იცოდა გორგასლიძემ და ყველა ღონე იხმარა იმისთვის, რომ მეტოქე მას წარბს არ მისწვდომოდა, თორემ იარა გაიხსნებოდა, მსაჯი ბრძოლას შეწყვეტდა და გამარჯვება მოსკოველს დარჩებოდა. სამი რაუნდის განმავლობაში ქართველი მოკრივე ოსტატურად იცდენდა სახიფათო დარტყმებს, საპასუხო იერიშებზეც გადადიოდა და კარგად უტევდა მოსკოველს. ორთაბრძოლის დასასრულს მსაჯებმა ქართველი მოკრივე სცნეს გამარჯვებულად. ეს ჩემპიონობას ნიშნავდა. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ, 1945 წელს ავიდა შ. გორგასლიძე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე; ამჯერად, როგორც ქვეყნის გუნდურ პირველობაში გამარჯვებული ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების კაპიტანი, გარდამავალი პრიზით ხელდამშვენებული.

შ. გორგასლიძე დიდხანს იყო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ორჯერ წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო შეჯიბრებაში ფინელთა წინააღმდეგ, დამარცხებული ჰყავს 1928 წლის საბჭოთა კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონი პააკი, 1949 წელს კი ე. ტამილინენს სძლია. სულ 149 შეხვედრა ჩაატარა რინგზე და 132 მოიგო — მათ შორის 24 ნოკაუტით, რაც მსუბუქ და ქვემსუბუქ წონით კატეგორიებში, რომლებშიც ის გამოდიოდა, იშვიათი მოვლენაა. გორგასლიძეს შესანიშნავი დარტყმა ჰქონდა. კრივის სპეციალისტები აღიარებდნენ, რომ არც ერთი წამყვანი საბჭოთა მოკრივე ასე სრულყოფილად არ იყო დაუფლებული „ოპერკოტს" (დარტყმა ქვემოდან), როგორც შალვა. ეს საგანგებოდ აქვს აღნიშნული კრივის სახელმძღვანელოში ცნობილ საბჭოთა სპეციალისტს კ. გრადაპოლოვს. ქართველი მოკრივე ამ დარტყმებს ბრწყინვალედ უთავსებდა ბრძოლის ტაქტიკას.

იგი რინგიდან გამარჯვებული წავიდა. ეს 1950 წელს მოხდა, როცა პროფკავშირების საკავშირო პირველობაზე ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ერთი წლის შემდეგ კი სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიიღო. დადგა დრო სხვებისათვის ესწავლებინა თავისი ხელოვნება. წლების მანძილზე რესპუბლიკის ნაკრებს ამზადებდა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებისათვის, 17 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ზოოვეტინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე. ამბობენ, ასაკი მაშინ დაეტყობა კაცს, როცა იგი სიახლისკენ აღარ ისწრაფვისო. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი შალვა გორგასლიძე ახლა 70 წლისაა, მაგრამ იგი კვლავ მწყობრშია, კვლავ ჭაბუკური ენერგიით ემსახურება საყვარელ საქმეს. ეწვიეთ კრივის დარბაზს, რომელსაც შ. გორგასლიძის კლუბი ჰქვია და თავად დარწმუნდებით.

**უშანგ ჭიჭინაძე.**

# ასპირანტურა აღდგა

(დასასრული)

— ნასწარი სამუშაოები ჩავატარეთ კანდიდატურების შესარჩევად. ორიენტირი ისეთ ახალგაზრდებზე ავიღეთ, რომლებიც ინსტიტუტში სწავლისას კარგი აკადემიური მოსწრებით გამოირჩეოდნენ, აქვთ ფიზკულტურასა და სპორტში მეცნიერული მუშაობის პრაქტიკა და გამოცდილება, ჩატარებული აქვთ გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, ჩააბარეს საკანდიდატო მინიმუმი ან გამოქვეყნებული აქვთ დასამუშავებელი თემის გარკვეული ნაწილი.

საქმე იმაშია, რომ კურსდამთავრებულები, რომლებსაც მეცნიერული კვლევის უნარი ჰქონდათ, „აღრიცხვაზე" ავიყვანეთ. ამიტომ არც ერთი „აბიტურიენტი" ჩვენთვის უცნობი არ არის. ვიცნობთ მათ შესაძლებლობებს.

**● ალბათ სხვა უმაღლესი სასწავლებლებისთვისაც მოამზადებთ სპეციალისტებს...**

— რა თქმა უნდა, „ლელოში" გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ 1 ადგილი მიზნობრივად ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვისაა გამოყოფილი.

**● იმ პერიოდში, როცა ასპირანტურაში მიღება არ იყო, ახალგაზრდა კადრები მოგაკლდებოდათ.**

—ექვსი წლის განმავლობაში ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებდით ლენინის ორდენოსან ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ფიზკულტურის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტებს.

მოსკოვის ამ სამეცნიერო დაწესებულებებში დღეს ჩვენი 5 კურსდამთავრებული იმაღლებს კვალიფიკაციას. ჩვენ მათ სისტემატურ კონტროლს ვუწევთ. ამას წინათ სასიხარულო ცნობა მივიღეთ მოსკოვიდან — საკავშირო სპორტსახკომის ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა წლევანდელ კონფერენციაზე გაიმარჯვა ჩვენი ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ირინე ბექაურმა.

იმედი გვაქვს, ჩვენი წარგზავნილები მთლიანად დაძლევენ ასპირანტურის კურსს და საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში დაბრუნების შემდეგ წარმატებით გააგრძელებენ სამეცნიერო სასწავლო მუშაობას.

**● შეიძლება მუშაობაში რაიმემ ხელი შეგიშალოთ?**

— მთავარი პრობლემაა ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. არა გვაქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამეცნიერო ლაბორატორიები. არის ერთადერთი სტუდენტთა სამეცნიერო ლაბორატორია, რომელიც ჯერჯერობით ასპირანტებსაც მოემსახურება. მომავალში ინსტიტუტში რამდენიმე ასეთი ლაბორატორიის გახსნას ვაპირებთ. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი საკითხი გადასაწყვეტი.

როგორც ცნობილია ასპირანტურის კურსის გავლის შემდეგ დისერტაციის დაცვა ხდება სპეციალიზებულ საბჭოზე, რომელიც სსრ კავშირში მხოლოდ რამდენიმე ინსტიტუტს აქვს. ეს დისერტანტებს დიდ პრობლემებს უქმნის. ისინი 4-5 წელი იცდიან, ჩვენი ამოცანაა ჩვენს ინსტიტუტთან შევქმნათ ასეთი საბჭო. არგუმენტული დოკუმენტაცია უკვე გავუგზავნეთ უმაღლეს საატესტაციო კომისიას. იმედი მაქვს, ჩვენი ასპირანტურის კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემენ მშობლიურ ქალაქში დაიცვან საკანდიდატო დისერტაციები.

**● კიდევ რამდენიმე დღე და გამოცდებიც დაიწყება...**

— დიახ, კონკურსი დიდია. თითოეულ ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტია, მათ შორის მიზნობრივზეც. იმედი გვაქვს საუკეთესოები გაიმარჯვებენ.

ესაუბრა
**ნინო ხიმონიშვილი.**

გამოხმაურება წერილზე

## „საუნჯეს დავუდგეთ გუშაგად"

**სარედაქციო წერილმა „საუნჯეს დავუდგეთ გუშაგად", რომელიც „ლელოს" 26 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა, მკითხველთა საზოგადოებაში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ეს, ცხადია, სპორტის ეროვნული სახეობებისადმი და ხალხური თამაშებისადმი პატივისცემის საყოველთაო გამოხატულებაა.**

**დღეს გთავაზობთ რამდენიმე წერილს, რომელიც რედაქციამ ამ დღეებში მიიღო.**

# სკოლამ უნდა მიხედოს

**გასული** საუკუნის მეორე ნახევარში, როცა საქართველოში ფიზიკური აღზრდის ახალი სისტემა იწყებდა შემოსვლას, ჩვენი ხალხისთვის ბევრი რამ უცხო და მიუღებელი იყო. აკაკი წერეთელმა მკაცრად გაილაშქრა ადგილობრივი ტრადიციების უარყოფისა და თავს ერთბაშად მოხვეული უცხო სისტემის წინააღმდეგ, მოითხოვდა კვლავ დარჩენოდა უპირატესობა ხალხურ ფიზიკურ აღზრდას. მეორე მხრივ სპორტის ეროვნულმა სახეობებმა და ხალხურმა თამაშებმა ნოყიერი ნიადაგი დაახვედრა სპორტის ახალ სახეობებს. ეროვნულ საუნჯეს — ხალხურ სპორტს და ხალხურ თამაშებს არასდროს დაუკარგავს და არ დაკარგავს თავის მნიშვნელობას. ოღონდ ეგაა, საუნჯეს მოვლა-პატრონობა უნდა. დაკარგული და დავიწყებული ძალიან ბევრია, აღდგენა-დანერგვა კი აღარ უნდა დავაყოვნოთ. სკოლა მუდამ იყო ერის კულტურის კერა და ახლაც სკოლაზე უნდა გადავიტანოთ ყურადღება. წინადადებით შემოვდივარ ყოველწლიურად ჩავატაროთ რესპუბლიკური კონკურს-დათვალიერება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის ხელმისაწვდომ სპორტის ეროვნულ სახეობებში და ხალხურ თამაშებში. მერე, მხიარული სტარტების მსგავსად, რჩეულთა შეხვედრებიც მოვაწყოთ სპორტის სასახლეში ან „დინამოს" სტადიონზე ტაიმებს შორის.

**ეთერ კურტანიძე,**
**ახალციხის რაიონის სოფელ კლდის 8-წლიანი სკოლის უფროსი მასწავლებელი.**

# მასობრიობას ნუ დავივიწყებთ

**სწორად** წერდით, ურბანიზაციამ და მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა თანდათან გაანელა ინტერესი სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშებისადმი. რა დასამალია, დღეს ყველა სპორტის კლასიკურ სახეობებს ეტანება, ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებები, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეებში გამოატარეს და დახვეწეს, თითქმის აღარავის ახსოვს, ან მდიდარი არსენალიდან, ზოგიერთს მოსაჩვენებლად თუ ვიყენებთ, თანაც მხოლოდ შეჯიბრებას ვატარებთ, მასობრიობაზე კი არ ვზრუნავთ. რატომ გვავიწყდება, რომ სწორედ ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებებია ყველასთვის ხელმისაწვდომი, სწორედ მისი დახმარებით შეიძლება ვაზიაროთ მოსახლეობის ფართო ფენები ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს? კარგი წინადადებაა, აუცილებლად, უნდა გავხსნათ სპეციალიზებული გამაჯანსაღებელი სკოლა ბავშვებისთვის სამეურნეო ანგარიშზე. ამ საქმის გადადება აღარ შეიძლება. ალბათ სხვებს მაგალითი თბილისმა უნდა მისცეს. საჩვენებელმა სკოლამ „დინამოს" სტადიონზე უნდა დაიდოს ბინა. იქ მეტი შესაძლებლობებია და ამიტომ. ცხენოსნობის ეროვნული სახეობებისთვის ფასიანი ჯგუფები უნდა გაიხსნას იპოდრომზე, სადაც ადგილობრივი ჯიშის ცხენებიც ჰყავთ.

**ვალერი ტარუაშვილი,**
გორი.

რეპლიკა

# ბლიცტურნირი... იძულებით

**სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური (რიგით XVI) სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში (ორგანიზატორი — პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება) ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს ეძღვნება, ამიტომ მის ჩასატარებლად განსაკუთრებული გულმოდგინებაა საჭირო. სინამდვილეში კი რა ხდება: ახლახან თელავი მასპინძლობდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებას ლელობურთში. დებულების თანახმად, აქ 27 რაიონის წარმომადგენლებს უნდა მოეყარათ თავი, მაგრამ საასპარეზოდ გამოცხადდნენ მხოლოდ თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანის ნაკრებები. გურჯაანელებს ერთნაირი სპორტული ფორმაც კი არ ჰქონდათ — ზოგს წითელი მაისური ეცვა, ზოგს — ლურჯი. გუნდი შეჯიბრებაზე არ დაუშვეს და ბიჭებს ისღა დარჩენოდათ, იქვე სოფლის (შეხვედრები წინანდლის სტადიონზე გაიმართა) მაღაზიაში შეეძინათ თეთრი მაისურები. ეტყობა გურჯაანის სპორტის მესვეურებს არად უღირთ რაიონის ღირსება.**

**გურჯაანელებმა ერთი შეხვედრა ჩაატარეს — დამარცხდნენ ლაგოდეხის გუნდთან 2:6, თელაველებთან თამაშზე კი უარი განაცხადეს. თელაველ და ლაგოდეხელ ლელობურთელთა შეხვედრა ფრედ 6:6 დამთავრდა. პირველი ადგილი ლაგოდეხელებს დარჩათ. მეორეზე თელაველები გავიდნენ, ხოლო შეჯიბრება, რომელიც სამ დღეს უნდა გაგრძელებულიყო, 3 საათში დამთავრდა.**

**დებულებაში ვკითხულობთ: სპარტაკიადის მიზანია სპორტის ეროვნული სახეობების შემდგომი პოპულარიზაცია და განვითარება. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ როგორ სამსახურს გაუწევს ისეთი შეჯიბრება, თელავში რომ ჩატარდა სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებასა და განვითარებას.**

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
თელავი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

**„გაცნობებთ, რომ საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ შეამოწმა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული ბაზების ახალი სასწავლო წლისათვის მზადყოფნა. მთლიანად დადასტურდა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილში („გულგრილობა, უპასუხისმგებლობა") მოყვანილი ფაქტები საგარეჯოს № 4, კაკაბეთისა და პატარა ჩაილურის საშუალო სკოლების სპორტული ბაზების მოუმზადებლობის შესახებ. შემოწმების შედეგად გამოვლინდა სხვა ხარვეზები და ნაკლოვანებებიც. საკითხი განიხილა სახალხო განათლების საბჭოს ხხდომამ. საგარეჯოს № 4, კაკაბეთის, პატარა ჩაილურის საშუალო სკოლების დირექტორებსა და ფიზაღზრდის მასწავლებლებს, სპორტული ბაზების ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში დაშვებული შეცდომებისთვის გამოეცხადათ საყვედური. გატარდა ქმედითი ღონისძიებები რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპორტული ბაზების წესრიგში მოსაყვანად.**

**ამჟამად რაიონის უმრავლეს სკოლაში მდგომარეობა გამოსწორებულია.**

**ნ. ჭანტურია,**
**საგარეჯოს რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე."**

ეროვნული ბიბლიოთეკა

UEFA **ევროპის საკლუბო ტურნირები**

# ოპტიმიზმის საფუძველი

დასასრული

დად სასიხარულოა. 3:0 — ევროპულ საკლუბო გათამაშებათა ასპარეზზე იოლი ამბავი არაა, მით უმეტეს, პირველი მარცხის შემდეგ. და შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენს გუნდში ყველაფერი მოწესრიგდა. რა თქმა უნდა, არა! თბილისელთა თამაშში ახლაც ხშირია შეუთანხმებლობა, შეცდომები, უზუსტო დარტყმები მეტოქის კართან შექმნილი სახიფათო ვითარებისას, გაუმართლებლად ბევრ ჯარიმას ღებულობენ ჩვენი მცველები, როცა მეტოქის თავდამსხმელებთან უშუალო ორთაბრძოლაში ებმებიან. ამ ჯარიმების შედეგად ბულგარელმა ფეხბურთელებმა სტანდარტულ მდგომარეობათა გათამაშების მრავალზე მრავალი შესაძლებლობა მიიღეს და კარგია, რომ ჩვენი მცველები ახერხებდნენ მათს მოგერიებას. დღევანდელ საზეიმო განწყობილებაში ამ შეცდომებს იმიტომ ვუსვამთ ხაზს, რომ წინ საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე უაღრესად საპასუხისმგებლო შეხვედრაა ჩასატარებელი, ამ შეცდომათა გამეორება კი მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენებს. რახან ახლა მობრუნების წერტილთან დავდექით და აღმავლობის გზას შევუდექით, ყოველი მატჩი კი არა, მისი თითოეული ეპიზოდიც კი ზუსტად გაანგარიშებული და აწონ-დაწონილი უნდა გვქონდეს. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს აღარა აქვთ არც ერთი შეცდომის უფლება. ეს სენტენციები მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი კეთილი სურვილებით არის ნაკარნახევი.

ავიღოთ, თუნდაც, ის 11-მეტრიანი, რომელიც მატჩის პირველივე წუთზე დაინიშნა „ლოკომოტივის" კარში. ხდება, როცა პენალტები ვერ გააქვთ, ეს ტრაგედია არაა, მაგრამ გაიხსენეთ, თბილისის „დინამომ" წლეულს უკვე რამდენჯერ ვერ გამოიყენა ასეთივე შესაძლებლობა. შენგელიამაც ვერ შეძლო ამ დღეს ბურთის გატანა, მან აშკარად სუსტად შეასრულა დარტყმა და საშუალება მისცა ბულგარელთა ჩინებულ მეკარე ნიკოლოვს მოეგერიებინა ბურთი. ვინ იცის, როგორ წავიდოდა შემდგომში თამაში, დინამოელებს რომ ის ერთსულოვნება და მონდომება არ გამოეჩინათ, რაზეც ზევით ამდენი ვილაპარაკეთ.

მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე სოფიის „ლოკომოტივის" მწვრთნელმა ა. ჩაჩევსკიმ განაცხადა: „ჩვენ თბილისში იმიტომ კი არ ჩამოვედით, რომ ლამაზი თამაში ვაჩვენოთ, ჩვენ კონკრეტული ამოცანა გვაქვს დასახული გათამაშების შემდგომ წრეში გასასვლელად და მხოლოდ ამ ამოცანის შესასრულებლად ვიბრძოლებთ. სხვა ყველაფერს მნიშვნელობა არა აქვს".

მაგრამ, ჩვენი აზრით, ა. ჩაჩევსკი შეცდა. ფეხბურთში ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. „ლოკომოტივის" ფეხბურთელები პირველი მატჩის ანგარიშის ჰიპნოზით იყვნენ „შეპყრობილი", ორგოლიანი უპირატესობა მათ სავსებით საკმარისად მიიჩნიეს და საპასუხო მატჩი თბილისში ძალზე პასიურად, ზედმეტი სიფრთხილით, შიშით ჩაატარეს. ისინი დინამოელთაგან არ მოელოდნენ ასეთ მონდომებულ, ძლიერ თამაშს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერს უნდა მოელოდე, თუ არა და ისეთ მდგომარეობაში ჩავარდები, როგორშიც სოფიელთა გუნდი აღმოჩნდა. მაშინაც კი, როცა თბილისელები იგებდნენ ანგარიშით 3:0, სტუმრებს შეეძლოთ აქტიურად ეთამაშათ და, ვთქვათ, ერთი საპასუხო ბურთი გაეტანათ, მაშინ საქმე დამატებით დროზე მიდგებოდა, მაგრამ „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა ვერაფრით ვერ შეძლეს დინამოელთა უკიდურესად აქტიური თამაშის დაძლევა და ყველაფერი ის, რაც 30 სექტემბერს მოხდა ჩვენს სტადიონზე, სავსებით შეესაბამება კანონზომიერებას — თბილისის „დინამომ" 3 „მშრალი" ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და დარწმუნებული ვართ, ბულგარელთა მეკარე პლამენ ნიკოლოვი რომ არა, რომელმაც რამდენიმე უაღრესად ძნელი ბურთი მოიგერია, ანგარიში მეტიც იქნებოდა.

ერთი სიტყვით, ოპტიმიზმის სრული საფუძველი გვაქვს. საკავშირო ჩემპიონატის დარჩენილი მატჩები თბილისის „დინამომ" ასეთივე მაქორულ ტონალობაში უნდა ჩაატაროს და მაშინ თავიდან ავიცილებთ საბედისწერო პრობლემას დარჩება თუ არა ჩვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში.

სამივე ბურთი ბულგარელთა კარში გავიდა უმაღლესი საფეხბურთო ოსტატობის დონეზე. ეს ჯერ 41-ე წუთზე გააკეთა სულაქველიძემ, როცა ნიკოლოვმა წამით მოადუნა ყურადღება, შემდეგ გურულმა ასეთივე ეფექტური გოლი გაიტანა შორი მანძილიდან, 79-ე წუთზე კი ჩივაძემ ზუსტი თავური დარტყმით გაგზავნა ბადეში მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი.

**ზიზიკო ქორქია.**



თბილისის დინამოელები გამარჯვებულები ტოვებენ სტადიონის სარბიელს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## პრეს-კონფერენცია მატჩის შემდეგ

**მატჩის** დამთავრებისთანავე ტრადიციულ პრეს-კონფერენციაზე პირველნი დიდი ბრძოლის მონაწილეთაგან დინამოელთა ხელმძღვანელები მოვიდნენ — გერმან ზონინი, მურთაზ ხურცილავა, ვლადიმერ გუცაევი. გასაგებიცაა: ჯერ ერთი ისინი გამარჯვებულთა მხარეს წარმოადგენდნენ და, მეორეც (რაც კარგა ხნის დაკვირვებით ვიცით), არც ერთი ამ სამეულიდან არ გაურბის შეხვედრას ჟურნალისტებთან...

შემდეგ დარბაზში ბულგარელთა მწვრთნელი აპოსტოლ ჩაჩევსკიც გამოჩნდა...

**გ. ზონინი:** — თამაშითაც კმაყოფილი ვართ და შედეგითაც, კარგად ვგრძნობდით, რომ ამ დღეს არა მარტო ქართული ფეხბურთის, არამედ მთელი საბჭოთა სპორტის პრესტიჟს ვიცავდით. ალბათ დამეთანხმებით, რომ „გარდაქმნის" პირველი „შტრიხები" ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ ორი კვირის წინათ ერევანში დაეტყო, მაგრამ მაშინ თამაში მსაჯმა „გაგვიფუჭა". მას შემდეგ ნელ-ნელა ვუმატებთ თამაშს და ვეცადეთ უეფა-ს განმეორებითი მატჩისათვის სასურველი დონისათვის მიგვეღწია. საჭირო იყო დინამოელთა ფუნქციონალური კონდიციების აღდგენა. საბედნიეროდ, ამას მივაღწიეთ. ვფიქრობ, რომ გულშემატკივრებმა მოედანზე იხილეს გუნდი, რომელიც იბრძოდა მონდომებით, სრულყოფილად, დიდი ნებისყოფით, კარგად ასრულებდა მწვრთნელთა ტაქტიკურ დავალებას ყველა რგოლში და მიზანსწრაფვით მიიწევდა გამარჯვებისაკენ. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდები დაირაზმნენ ვეტერან დინამოელთა გარშემო — სხვათა შორის, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ამ დღეს შენგელია და სულაქველიძე ტრავმირებულები გამოვიდნენ მოედანზე (თამაშში მათი მონაწილეობა ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო), ვფიქრობ, ორივე მათგანმა კარგად გაართვა თავი ძნელ მატჩს. ვიცი, ყველას შენგელიას „პენალტის ამბავი" გაინტერესებთ. გეტყვით, რომ ყოველ ვარჯიშზე თითოეული ჩვენი ფეხბურთელი 30-40-ჯერ მაინც ასრულებს 11-მეტრიან დარტყმას. სხვათა შორის, მატჩის დღეს, დილით დილმის ბაზაზე შენგელიამ ათჯერ დაარტყა პენალტი და ცხრა შეაგდო. აი, თამაშში კი... როდესაც ბურთისაკენ გამოემართა დასარტყმელად, ვიგრძენი რაღაც არადამაჯერებლობა მის მოქმედებაში, თავი ჩავღუნე და ვერ გაიტანს — გავიფიქრე. მერე ტრიბუნების რეაქციით მივხვდი ყველაფერს... რას იზამ, მაგრამ შემდგომში რამაზმა ძალზე მონდომებით ითამაშა და მხოლოდ ტრავმის გამწვავების შიშით შევცვალეთ. ისე კი, ჩვენს თავდამსხმელებს მეტის გაკეთება შეეძლოთ, ეტყობა ზედმეტმა მონდომებამ ხელი შეუშალა გურამ აჯოევს — იგი ხომ ახლა იკიდებს ფეხს დინამოელთა ძირითად შემადგენლობაში, აი, გურული კი ქების ღირსია. ცხადია, ამ გამარჯვებით „ცაში ფრენას" არ ვაპირებთ — ფეხბურთელებმა კარგად იციან, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა, საჭიროა, რა თქმა უნდა, მეტი ვარჯიში, ფუნქციონალური დონის კიდევ უფრო ამაღლება. რაც შეეხება ჩვენს მეტოქეს, იგი სოფიაში უკეთ გამოიყურებოდა, უფრო ორგანიზებულად და აგრესიულად თამაშობდა. თანავუგრძნობ ჩემს ბულგარელ კოლეგას და ვუსურვებ, ისევე, როგორც ჩვენს გუნდს, კარგ თამაშს ქვეყნის ჩემპიონატში.

**ა. ჩაჩევსკი:** — თქვენს გუნდს დიდი გამოცდილება აქვს ევროპის ტურნირებში, ამასთან, როგორც შევამჩნიე, იგი სულ სხვაგვარად თამაშობს შინ და გარეთ — ერთი გუნდი იყო სოფიაში, მეორე — თბილისში. აღტაცებული ვარ ქართველ ფეხბურთელთა თამაშით — მათი სწრაფი, შეთანხმებული მოქმედებით, ანგარიში ალბათ უფრო დიდი იქნებოდა, ჩვენს მეკარეს საკმაოდ [illegible] ი, [illegible] სუსტი იყო ხრისტო ზლატინოვი, რომ [illegible] ამაში [illegible] ტურნირებში გამოცდილება მართლაც გვაკლია. გამოგიტყდებით, ერთი ბურთის გატანას მაინც ვაპირებდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ძლიერმა გაიმარჯვა — გულწრფელად ვულოცავ ქართველ ფეხბურთის მოყვარულებს ამ წარმატებას.

**ინტერვიუ ჩაიწერა ოთარ ნოზაძემ.**

* * *

თბილისის „დინამოს" გარდა საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე იმყოფებოდა კიევის „დინამოც", რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასზე შინ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მოუგო შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსს" — 1:0. საპასუხო მატჩი გლაზგოს „აიბროქსის" სტადიონზე კიეველებმა ანგარიშით 0:2 წააგეს და გამოეთიშნენ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს.

თასების მფლობელთა თასზე კარგად ითამაშა მინსკის „დინამომ", რომელმაც პირველ მატჩში თურქეთის „გენჩლერბირლიგის" დამარცხების შემდეგ (2:0) ასევე წარმატებით ითამაშა ანკარაში, იქაც გაიმარჯვა — 2:1 და გათამაშების მეორე წრეში გავიდა. საყურადღებოა, რომ მეორე მატჩში დაწინაურდნენ თურქი ფეხბურთელები (თუნჯაი), საპასუხო ბურთი გაიტანა დერკაჩმა, ხოლო გამარჯვებისა — კონდრატიევმა.

უეფა-ს თასზე პრობლემები არ ჰქონდა მოსკოვის „დინამოს", რომელმაც შვეიცარიის „გრასჰოპერსი" მისივე მინდორზე დაამარცხა ანგარიშით 4:0, შინ კი კვლავ შეძლო გამარჯვების მოპოვება — 1:0. გოლი 33-ე წუთზე გაიტანა ვასილიევმა.

ასევე საიმედო იყო მოსკოვის „სპარტაკის" გამოსვლა დრეზდენის „დინამოსთან" (გდრ), ვინაიდან სპარტაკელებს პირველი შეხვედრა ანგარიშით 3:0 ჰქონდათ მოგებული. დრეზდენის „დინამომ" საპასუხო მატჩში მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა (მინგე).

ლენინგრადის „ზენიტმა" საკუთარ მინდორზე მოგების შემდეგ (2:0), ვერაფერი გააწყო ბელგიის ქალაქ ბრიუგეში ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან და დიდი ანგარიშით დამარცხდა — 5:0.

ამრიგად, ჩემპიონთა თასის გათამაშებას გამოაკლდა კიევის „დინამო", ხოლო უეფა-ს თასისას — ლენინგრადის „ზენიტი". თბილისის „დინამო", მინსკის „დინამო" მოსკოვის „დინამო" და მოსკოვის „სპარტაკი" გააგრძელებენ ბრძოლას მეორე წრეში.

# სხვა მატჩები

გთავაზობთ ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის პირველი წრის შედეგებს.

**ჩემპიონთა თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

**„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია)** — „დინამო" (კიევი, სსრ კავშირი) — 2:0 (0:1).

„დინამო" (ბერლინი, გდრ) — **„ბორდო" (საფრანგეთი)** 0:2 (0:2)

„ჰამრუნსპარტანსი" (მალტა) — **„რაპიდი" (ავსტრია)** 0:1 (0:6)

„ვარდარი" (იუგოსლავია) — **„პორტო" (პორტუგალია)** 0:3 (0:3)

**„ანდერლეხტი" (ბელგია)** — „მალმიო" (შვეცია) 1:1 (1:0)

„პარტიზანი" (ალბანეთი) — **„ბენფიკა" (პორტუგალია)** — +(0:4)

„სრედეცი" (ბულგარეთი) — **„ბაიერნი" (გფრ)** 0:1 (0:4)

მტკ (უნგრეთი) — **„სტიაუა" (რუმინეთი)** 2:0 (0:4)

**„სპარტა" (ჩეხოსლოვაკია)** — „ფრამი" (ისლანდია) 8:0 (2:0)

„გალათასარაი" (თურქეთი) — **„ეინდჰოვენი" (ჰოლანდია)** 2:0 (0:3)

„კუუსიუსი" (ფინეთი) — **„ქსამაქსი" (შვეიცარია)** 2:1 (0:5)

„ნაპოლი" (იტალია) — **„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი)** 1:1 (0:2)

**„გურნიკი" (პოლონეთი)** — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი) 2:1 (1:1)

„ჟენესი" (ლუქსემბურგი) — **„ორჰუსი" (დანია)** 1:0 (1:4)

„ლინფილდი" (ჩრ. ირლანდია) — **„ლილესტრიომი" (ნორვეგია)** 2:4 (1:1)

**„ომონია" (კიპროსი)** — „შემროკ როვერსი" (ირლანდია) 0:0 (1:0)

**თასების თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

„გენჩლერბირლიგი" (თურქეთი) — **„დინამო" (მინსკი, სსრ კავშირი)** 1:2 (0:2)

„დინამო" (რუმინეთი) — **„მეჰელენი" (ბელგია)** 0:2 (0:1)

**„ჰამბურგი" (გფრ)** — „ავენირი" (ლუქსემბურგი) 3:0 (5:0)

**„მარსელი" (საფრანგეთი)** — „ლოკომოტივი" (გდრ) 1:0 (0:0)

**„ჰაიდუკი" (იუგოსლავია)** — „ოლბორგი" (დანია) 1:0 (0:1). დამატებითი პენალტებით — 4:2.

„დანდალკი" (ირლანდია) — **„აიაქსი" (ჰოლანდია)** 0:2 (0:4)

„შლიონსკი" (პოლონეთი) — **„რეალი" (სან-სებასტიანი, ესპანეთი)** 0:2 (0:0)

„სვაროვსკი"-„ტიროლი" (ავსტრია) — **„სპორტინგი" (პორტუგალია)** 4:2 (0:4)

„გლენტორანი" (ჩრ. ირლანდია) — **„როვანიემი" (ფინეთი)** 1:1 (0:0)

„შლიემა უონდორერსი" (მალტა) — **„ვლაზნია შკოდრა" (ალბანეთი)** 0:4 (0:2)

„იუნგ ბოიზი" (შვეიცარია) — „დუნაისკა" (ჩეხოსლოვაკია) 3:1 (1:2)

**„კალმარი" (შვეცია)** — „აკრანესი" (ისლანდია) 1:0 (0:0)

**„ჰააგა" (ჰოლანდია)** — „დოჟა უიპეშტი" (უნგრეთი) 3:1 (0:1)

„ტრომსიო" (ნორვეგია) — **„სენტ მირენი" (შოტლანდია)** 0:0 (0:1)

**„ატალანტა" (იტალია)** — „მერფირ ტიუდფილი" (უელსი) 2:0 (1:2)

**ოფი (საბერძნეთი)** — „ვიტოშა" (ბულგარეთი) 3:1 (0:1).

**უეფა-ს თასი**

**ოცდამეთორმეტედფინალი**

„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — **„სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი)** 1:0 (0:3)

**„დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი)** — „ლოკომოტივი" (სოფია, ბულგარეთი) 3:0 (1:3)

**„ბრიუგე" (ბელგია)** — „ზენიტი" (ლენინგრადი, სსრ კავშირი) 5:0 (0:2)

**„დინამო" (მოსკოვი, სსრ კავშირი)** — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია) 1:0 (4:0)

**„აბერდინი" (შოტლანდია)** — ბოჰემიანსი" (ირლანდია) 1:0 (0:0)

„ბელენენსეში" (პორტუგალია) — **„ბარსელონა" (ესპანეთი)** 1:0 (0:2)

**„უტრეხტი" (ჰოლანდია)** — „ლინცერი" (ავსტრია) — 2:0 (0:0)

„ვალიური" (ისლანდია) — **„ვისმუტი" (გდრ)** 1:1 (0:0)

„ბოჰემიანსი" (ჩეხოსლოვაკია) — **„ბევერენი" (ბელგია)** 1:0 (0:2)

**„ესპანიოლი" (ესპანეთი)** — „ბორუსია" (მიონხენგლადბახი, გფრ) 4:1 (1:0)

„სპორა" (ლუქსემბურგი) — **„ფეიენოორდი" (ჰოლანდია)** 2:5 (0:5)

**„გიმარაეში" (პორტუგალია)** — „ტატაბანია" (უნგრეთი) 1:0 (1:1)

**„ბორუსია" (დორტმუნდი, გფრ)** — „სელტიკი" (შოტლანდია) 2:0 (1:2)

**„ვერონა" (იტალია)** — „პოგონი" (პოლონეთი) — 3:1 (1:1)

„ლოკერენი" (ბელგია) — **„ჰონვედი" (უნგრეთი)** 0:0 (0:1)

**„დანდი იუნაიტედი" (შოტლანდია)** — „კოლრეინი" (ჩრ. ირლანდია) 3:1 (1:0)

აიკ (შვეცია) — **„ვიტკოვიცე" (ჩეხოსლოვაკია)** 0:2 (1:1)

„ადმირა-ვაკერი" (ავსტრია) — **„ტურუნ პალოსეურა" (ფინეთი)** 0:2 (1:0)

„გეტებორგი" (შვეცია) — **„ბრონდბიუ" (დანია)** 0:0 (1:2)

**„ვერდერი" (გფრ)** — „მენდალენი" ნორვეგია) 0:1 (5:0)

გკს (პოლონეთი) — **„სპორტული" (რუმინეთი)** 1:2 (0:1)

„ოსერი" (საფრანგეთი) — **„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი)** 3:2 (0:2)

**„ვიქტორია" (რუმინეთი)** — ეპა (კიპროსი) 3:0 (1:0)

„პარტიზანი" (იუგოსლავია) — **„ფლიამურტარი" (ალბანეთი)** 2:1 (0:2)

**„მილანი" (იტალია)** — „ხიხონი" (ესპანეთი) — 3:0 (0:1)

**„იუვენტუსი" (იტალია)** — „ვალეტა" (მალტა) 3:0 (4:0)

**„შავიში" (პორტუგალია)** — „უნივერსიტატია" (რუმინეთი) 2:1 (2:3)

„თრაკია" (ბულგარეთი) — **„ცრვენა ზვეზდა" (იუგოსლავია)** 2:2 (0:3)

„პანიონიოსი" (საბერძნეთი) — **„ტულუზა" (საფრანგეთი)** 0:1 (1:5)

„სიონი" (შვეიცარია) — **„ველეჟი" (იუგოსლავია)** 3:0 (0:5)

**„ინტერი" (იტალია)** — „ბეშიქთაში" (თურქეთი) 3:1 (0:0)

**„ბაიერი" (ლევერკუზენი, გფრ)** — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია) 5:1 (0:0)

**შენიშვნა:** ხაზგასმულია გუნდები, რომლებიც ტურნირების შემდგომ წრეში გავიდნენ. პორტუგალიის „ბენფიკა" ჩემპიონთა თასის მერვედფინალში გავიდა იმის გამო, რომ ალბანეთის „პარტიზანს" დისკვალიფიკაცია მიეცა.

ყველა ტურნირის მეორე წრის მატჩები გაიმართება 21 ოქტომბერს და 4 ნოემბერს.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# დღეს მეორე ტური იწყება

**დღეს,** 3 ოქტომბერს ჩვენი ქვეყნის სამ ქალაქში (კიევი, რიგა, ვილნიუსი) იწყება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 55-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. კიევში იასპარეზებენ: ადგილობრივი ასკ და „სტროიტელი“, თბილისის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“, რიგაში — ადგილობრივი ვეფ-ი, მოსკოვის „დინამო“ და ცსკა, მინსკის რტი, ვილნიუსში — „სტატიბა“, „ჟალგირისი“, ტალინის „კალევი“ და ლენინგრადის „სპარტაკი“.

კიევში თბილისის დინამოელები ორჯერ შეხვდებიან ადგილობრივ არმიელებს და „სტროიტელს“ ამ მატჩების განრიგი ასეთია:

3 და 5 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი) — ასკ (კიევი).

4 და 6 ოქტომბერი. „დინამო“ (თბილისი) — ასკ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „სტროიტელი“ (კიევი).

შეგახსენებთ გუნდების სატურნირო მდგომარეობას დღეისათვის:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 3 | 0 | 297-215 | 6 |
| „ჟალგირ.“ (კაუნ.) | 3 | 3 | 0 | 283-256 | 6 |
| ასკ (კიევი) | 3 | 2 | 1 | 298-273 | 5 |
| „კალევი“ (ტალ.) | 3 | 2 | 1 | 278-266 | 5 |
| ვეფ (რიგა) | 3 | 2 | 1 | 298-302 | 5 |
| „დინ.“ (თბილისი) | 3 | 2 | 1 | 243-257 | 5 |
| „სპარტაკი“ (ლენ.) | 3 | 1 | 2 | 294-281 | 4 |
| რტი (მინსკი) | 3 | 1 | 2 | 275-279 | 4 |
| „დინ.“ (მოსკ.) | 3 | 1 | 2 | 232-246 | 4 |
| „სტრ.“ (კიევი) | 3 | 1 | 2 | 276-326 | 4 |
| „სტატ.“ (ვილნ.) | 3 | 0 | 3 | 262-281 | 3 |
| „შახტ.“ (დონ.) | 3 | 0 | 3 | 229-288 | 3 |

# სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციაში

**სსრ კავშირის** კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა თავის მორიგ სხდომაზე განიხილა უკრაინის კალათბურთის ფედერაციის, რესპუბლიკის სპორტსახკომის, საზოგადოებრივი და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტისა და ცსკა-ს შუამდგომლობა „სტროიტელისა“ და ცსკა-ს ყოფილი მოთამაშეების ა. ბელოსტენისა და ი. მიგლინიეკსის დისკვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე.

როგორც ცნობილია ბელოსტენიმ და მიგლინიეკსმა შარშან საბაჟო რეჟიმი დაარღვიეს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ. აღნიშნულმა კალათბურთელებმა შეიგნეს დანაშაულის მთელი სიმძიმე და სათანადო დასკვნებიც გააკეთეს. პრეზიდიუმმა ანგარიში გაუწია იმასაც, რომ ბელოსტენისა და მიგლინიეკსს სურთ მოედანზე თავდაუზოგავი თამაშით გამოისყიდონ თავიანთი დანაშაული და საზოგადოებრივ-სპორტული ორგანიზაციების შუამდგომლობაც გაითვალისწინა.

სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა ა. ბელოსტენისა და ი. მიგლინიეკსს ადრინდელი სასჯელი შეუცვალა პირობითი დისკვალიფიკაციით 1988 წლის სექტემბრამდე და წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში თამაშის ნება დართო.

ტურნირის ექო

# „ასეთი მწვრთნელი და გუნდი მეტს შეძლებენ“

**ამ დღეებში საქართველოში სტუმრად იყო ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი და ჟურნალისტი, ჟურნალ „ტაიმის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, წარსულში სტუდენტ კალათბურთელთა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე როჯერ როზენბლატი. ეს ინტერვიუ სტუმარს საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის ბოლო დღეს ჩამოვართვით.**

● **დამთავრდა თბილისის ტურის მატჩები, რომელსაც თქვენც ესწრებოდით, ალბათ გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ ჩვენს კალათბურთზე?**

— მოხარული ვარ, რომ თბილისში თქვენი ქვეყნის რამდენიმე საუკეთესო კლუბის თამაში ვნახე. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წამყვანი კალათბურთელი აკლდა, ვფიქრობ, ცსკა ჩემპიონატის სტარტიდანვე გამოკვეთილი ლიდერია. დონეს, მოგეხსენებათ, საუკეთესო გუნდები განსაზღვრავენ, ცსკას თამაში ამერიკელთა სტილს მაგონებს.

● **როგორ გახდა კალათბურთი თქვენი გატაცების საგანი?**

— როგორც თქვენთან, შტატებშიც უყვართ მოზარდებს კალათბურთი. პირადად მე ჯერ კოლეჯში ვთამაშობდი, სტუდენტობისას კი, უფრო სერიოზულად მოვკიდე ვარჯიშს ხელი, სტუდენტთა გუნდში კარგა ხანს ვთამაშობდი.

● **კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თბილისის „დინამო“ თქვენი თვალით....**

— „დინამო“ უდავოდ საინტერესო გუნდია. კარგი კალათბურთელებიც ჰყავს. დარსაძე ნამდვილი ვირტუოზია, იგი თავის თამაშით ბევრ უცხოურ კლუბს დაამშვენებდა. შესანიშნავია კაპუსტინი. დერიუგინი ვერ ამჟღავნებს შესაძლებლობებს, რადგან აშკარად ემჩნევა სერიოზული ტრავმის შედეგები.

— შენიშვნები შეიძლება?

— ბრძანეთ!

— თქვენი გუნდი მალე იღლება, ამიტომ უჭირს აქტიური თამაში მეორე ნახევარში, თამაშის პროცესში ტაქტიკის შეცვლა გვიანდება, ყურადღება მიაქციეთ, თამაში ისე მთავრდება ზოგიერთ კალათბურთელს ერთი შედეგიანი ტყორცნაც არ შეუსრულებია. აი ცსკასთან შეხვედრაში მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტაბლოს შევხედე — „დინამოდან“ 60 ქულა აღებული ჰქონდა მხოლოდ 5 კალათბურთელს, მოედანზე კი ამ შეხვედრაში გუნდის ბევრი წევრი გამოვიდა. საერთოდ, დინამოელები ძალიან აყოვნებენ მეტოქის ნახევარზე ბურთის გადატანას, შეტევას აკლია სისწრაფე.

● **შეჯიბრების ატმოსფეროზე რას იტყვით?**

— ძალიან მომწონს. ასეთი ატმოსფერო, აჟიოტაჟი, მხურვალე გულშემატკივრობა. უნდა გითხრათ, თქენი მაყურებელი საუცხოოდ ერკვევა კალათბურთის ნიუანსებში. მიკვირს, როცა თამაშის პროცესში მსაჯს ასე გამომწვევად ეკამათებიან მწვრთნელები, რატომ არ აძლევს მსაჯი მათ ტექნიკურ შენიშვნას.

● **ჩემპიონატის წინ თქვენ ლევან მოსეშვილს ესაუბრეთ, რას გვეტყოდით თბილისელთა მწვრთნელზე?**

— ლევანი დინჯი, საქმის მცოდნე კაცია, დარწმუნებული ვარ კალათბურთელებს არ უჭირთ მასთან მუშაობა. შემიძლია „დინამოს“ თამამად ვუწინასწარმეტყველო კარგი მომავალი. ასეთი მწვრთნელი და გუნდი მეტს შეძლებენ.

— **გმადლობთ ინტერვიუსთვის.**

ესაუბრა თ. თომაშვილი.

## ყველა მონაწილე ცნობილია

**უნგრეთში** დამთავრდა მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის დამატებითი მატჩი დარჩენილი ერთადერთი საგზურისთვის უნგრელ ლაიოშ პორტიშსა და ინგლისელ ჯონათან ნანს შორის. მეოთხე პარტია მათ ყაიმით დაამთავრეს და ანგარიში გახდა 3:1 პორტიშის სასარგებლოდ. მართალია, პრეტენდენტებს 6 პარტია უნდა ეთამაშათ, მაგრამ სირაკის საზონათშორისო ტურნირის შედეგების მიხედვით იმ შემთხვევაშიც კი თუ ანგარიში გათანაბრდებოდა უკეთესი კოეფიციენტის წყალობით, გამარჯვება უნგრელ დიდოსტატს უნდა მიკუთვნებოდა.

## პარტიების დამთავრებისას გაირკვევა

**ტილბურგის** დიდოსტატ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში 11 ტურის შემდეგ წინ კვლავ ჰოლანდიელი იან ტიმანია. მას 7 ქულა აქვს. ლიდერს კვალში მიჰყვებიან რობერტ ჰიუბნერი (გფრ) — 6 (1), არტურ იუსუპოვი, პრედრაგ ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 6-6.

ბევრი პარტია არ არის გადადებული. მაგრამ ლიდერთა მდგომარეობა მაინც მათი დამთავრების შემდეგ გაირკვევა.



## წყალბურთელ ქალთა საკავშირო ტურნირი

**საქართველოს** წყალბურთელ ქალთა ნაკრებმა წრიული სისტემით გამართულ შეჯიბრებაში მესამე შეხვედრა რსფსრ-ის წარმომადგენლებთან ჩაატარა და კვლავ გაიმარჯვა — 12:10 (3:1, 2:3, 3:2, 4:4). ამ დღეს მოსკოვის და უკრაინის გუნდებმა ფრედ — 9:9 ითამაშეს. ამის შედეგად საქართველოს ნაკრებს ყველაზე მეტი — 6 ქულა აღმოაჩნდა.

გუშინ გაიმართა I-II და III-IV ადგილებისთვის ბრძოლა. III ადგილისთვის პაექრობაში რსფსრ-ის ნაკრებმა იმარჯვა, საქართველოს ნაკრები კი უკრაინელებთან დამარცხდა 9:10 (4:2, 1:1, 2:3, 2:4).

ამ მატჩში საქართველოს ნაკრები, პირველი პერიოდის შემდეგ, სულ წინ იყო. მეოთხე პერიოდში ისინი სამი ბურთის უპირატესობით იგებდნენ შეხვედრას, მაგრამ თამაშის მიწურულს ძალზე კარგად ითამაშეს უკრაინელებმა და საკავშირო ტურნირში გამარჯვებულის სახელიც დაისაკუთრეს.

შეჯიბრების დაწვრილებითი ანგარიში იხ. „ლელოს“ უახლოეს ნომერში.

## ეკრანზე და ეთერში...

**ცენტრალური ტელევიზია. 3 ოქტომბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში — **9.20 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **10.35 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: ცსკა — „დნეპრი“ — **19.00 (2);** დევისის თასი ჩოგბურთში: სსრ კავშირი — შვეიცარია — **21.00 (2);** ევროპის ჩემპიონატი ფრენბურთში: ქალთა ტურნირის ფინალი — **1.05 (1).**

**საქართველოს ტელევიზია. 3 ოქტომბერი.** სპორტული გადაცემა — „45“ წუთი — **21.05.**

**საქართველოს რადიო. 3 ოქტომბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „სტროიტელი“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). რეპორტაჟი კიევიდან — **20.50;** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. პირველი ლიგა — **21.00.**

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 4 ოქტომბერი. „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა დიღომში. **„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „შადრევანი“ (წყალტუბო).** დასაწყისი 12 საათზე. „სინათლის“ სტადიონი. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი).** 17 ს.

## II ლიგა

**გუშინ** თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა, ადგილობრივმა „შევარდენი“-სპი-მ მიიღო ყაზახის „გოიაზანი“.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 1:0.

## ჭაბუკთა გამარჯვება

მოსკოვში შედგა ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (ასაკი — 18 წლამდე) სსრ კავშირისა და ავსტრიის ნაკრებ გუნდებს შორის.

ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა.

### საქართველოს პირველობა

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 33-ე ტურის მატჩი გეგეჭკორის „სალხინოსა“ და გორის რაიონის „ქართლს“ შორის დამთავრდა „სალხინოს“ გამარჯვებით — 2:1.

თელავის „კახეთმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 1:3 წააგო თბილისის „იმედი“-„დინამო“-2-სთან.

**ბრიუსელი.** დამთავრდა ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები. ვაჟთა აპარეზობის ნახევარფინალში გავიდნენ და ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი — საბერძნეთი, საფრანგეთი — შვეცია. ქალთა ნახევარფინალის მონაწილენი ასე დაწყვილდნენ: სსრ კავშირი — ბულგარეთი, გდრ — ჩეხოსლოვაკია, გუშინ გაიმართა პირველი ნახევარფინალური მატჩები.

**პარდუბიცე (ჩეხოსლოვაკია).** სპიდვეიში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი დანიელმა მოტომრბოლმა ჰანს ნილსონმა მოიგო. მას, როგორც მსოფლიო ჩემპიონს მთავარი პრიზი — „ოქროს მუზარადი“ გადაეცა. საბჭოთა სპორტსმენები ამ ტურნირში სუსტად გამოვიდნენ: როვნოელ ვლადიმერ ტროფიმოვს მეთოთხმეტე შედეგი ჰქონდა, ლენინგრადელ ვლადიმერ ვორონკოვს კი — მეთვრამეტე.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ხარკოვი.** აქ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალდღიან ველორბოლაში გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ პრიზზე. პროლოგი — 6 კილომეტრიანი რბოლა რიგ-რიგი სტარტით ომსკელმა ვალერი საპრონოვმა მოიგო — 7.30,27. მეორე დღეს გაიმართა ჯგუფური რბოლა 104 კილომეტრზე. აქ პირველი ადგილი კუიბიშეველმა ასიატ საიტოვმა დაიკავა — 2:43.55. პროლოგისა და პირველი ეტაპის ჯამში ლიდერობა ხელთ იგდო საიტოვმა — 2:51.28. გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ფედერაციის ველოსიპედისტები დაწინაურდნენ.

## „სპორტპროგნოზი“

**38-ე ტირაჟის შედეგები**

**(19-20 სექტემბერი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 38-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 19-20 სექტემბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 6.593.821 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (7) მოგებამ შეადგინა 10.000 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (101) — 1.958 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (2.010) — 358 მანეთი.

38-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 15 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ხვალ, 4 ოქტომბერს, თბილისში ჩატარდება კონსტიტუციის დღისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური კროსი გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე. ტრასის სიგრძე 3 კმ-ია. გარბენის სტარტი და ფინიში დანიშნულია სპორტის სასახლესთან. შეჯიბრებაში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან პრიზებით.

პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭო.

გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქცია.

გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონი „შევარდენი“

5 ოქტომბერი

ფეხბურთი

საკავშირო პირველობა

II ლიგა, IX ზონა

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური)

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08017